



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 60  
 28/07/2017

60-07-4-201707281709



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №60  
 2017 წლის 28 ივლისი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის  
 დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილების შესაბამისად:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (თან ერთვის).

**მუხლი 2.** ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი კატასტროფების და კრიზისული სიტუაციების მართვისა და პრევენციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №76 განკარგულება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიბრიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

შესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
 საკრებულოს ბიუროს

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

### თავი I. შესავალი

წინამდებარე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას.

### 1. სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმა შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილების შესაბამისად.

### 2. გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- საგანგებო სიტუაციებისაგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელთა დაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;
- ადგილობრივ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებების, მათი მოცულობის, განხორციელების წესისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე სუბიექტების ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა;
- ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოს შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების მხარდაჭერა;
- ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.

### 3. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანო და ფუნქციები

საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანო არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი).

საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით

გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას ადგილობრივ დონეზე.

ცენტრი იკრიბება საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას დაუყოვნებლივ.

**ცენტრის შეკრების მიზანია** მუნიციპალიტეტის მასშტაბით განიხილოს: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობა, დასახოს საგანგებო სიტუაციის მიტიგაციის და რეაგირების ღონისძიებები, მათი ეფექტურად გატარების გზები და კოორდინირება გაუწიოს რეაგირების ძალების საქმიანობას.

ცენტრი მოქმედებს საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით და იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის დონეზე მოსალოდნელ ან შექმნილ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით. თუ არსებული მდგომარეობა ითხოვს რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე ჩარევას, ცენტრის შემდგომი მოქმედებები ტარდება ზემდგომი ოპერატიული ცენტრის მითითებების საფუძველზე. ცენტრის შეკრებას უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი ან მისგან უფლებამოსილი პირი. ცენტრის დაკომპლექტება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული ფუნქციების გათვალისწინებით. ცენტრი ოპერატიულ კავშირზეა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მორიგესთან. ცენტრის ხელმძღვანელს შეუძლია ცენტრის შემადგენლობაში დაამატოს წევრი თავისი შეხედულებით.

**ცენტრის ძირითადი ამოცანებია:**

ა) ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის ორგანიზება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილი ვითარების ანალიზი;

ბ) მართვის პუნქტების მზადყოფნის, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის, მატერიალური რეზერვებისა და ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილების ორგანიზება;

გ) მოსახლეობის შეტყობინებისა და დაცვის ორგანიზება;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონის საზღვრების განსაზღვრა, შექმნილი საგანგებო ვითარების მონიტორინგი და პროგნოზირება; □

ე) ურთიერთმოქმედება სხვა ოპერატიულ ცენტრებთან, სამხედრო ნაწილებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის საკითხებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – გადაწყვეტილების მიღება საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით სხვა მეზობელი მუნიციპალიტეტებისათვის დახმარების აღმოჩენა საკუთარი ძალებითა და საშუალებებით;

ვ) საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის და აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელობა და ამ სამუშაოებში შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმის ორგანიზება;

ზ) საგანგებო სიტუაციებისათვის არსებული ფინანსური რეზერვების მდგომარეობის განხილვა;

თ) მოსახლეობის ევაკუაციის, ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების, საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ორგანიზება;

ი) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში სამაშველო ძალებისა და ტექნიკის დამატებით მოზიდვის მიზნით განაცხადის მომზადება და წარდგენა ზემდგომ ინსტანციებში;

კ) დასახმარებლად შემოსული სამაშველო ძალებისა და საშუალებების რაციონალური განაწილება და მათი საქმიანობის კოორდინირება.

## **II თავი. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება, საფრთხის წინაშე მდგარი ტერიტორიის, ობიექტის, საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დახასიათება/აღწერა**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის მთების ჩრდილო-დასავლეთით. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვის 18 კმ-იანი სანაპირო (საკურორტო) ზოლი. მუნიციპალიტეტის 15000 ჰა უჭირავს კოლხეთის ეროვნულ პარკს, რომლის დანიშნულებაც კოლხეთის დაბლობზე მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვა,

ასევე ბუნების არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. მთიანი ზონის სოფლები განლაგებულია 400-500მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან, დაბლობის ზონის სოფლები ძირითადად ესაზღვრება კოლხეთის ეროვნულ პარკს. მუნიციპალიტეტის უმეტესი ნაწილი სუბტროპიკულ ზონას წარმოადგენს. ქალაქი ლანჩხუთი თბილისიდან დაშორებულია 300კმ-ით, ბათუმიდან – 85კმ-ით, ფოთიდან – 42კმ-ით. მუნიციპალიტეტში 16 ტერიტორიულ ერთეულში 52 სოფელია. ქალაქ ლანჩხუთში ცხოვრობს 8000 - მდე ადამიანი, ხოლო 32000-მდე სოფლებში. აქ არის 2 ტბა (შედარებით დიდია პალიასტომი) და ჩამოედინება 5 მდინარე საერთო სიგრძით 75კმ (ყველაზე დიდი მდინარეებია სუფსა და რიონი). მდინარე რიონი მუნიციპალიტეტის საზღვარში მცირე ტერიტორიაზე შემოდის - სულ 950 მეტრზე, ხოლო მდინარე სუფსის სიგრძე მუნიციპალიტეტში არის 18,4 კმ.

მუნიციპალიტეტის მიწის მთლიანი ფონდი 2016 წლის მდგომარეობით შეადგენს 53 300 ჰა-ს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებს უკავია 23 369 ჰექტარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2016 წლის მონაცემებით შეადგენს 31,486 მოსახლეს, მათ შორის 15234 მამაკაცი, 16252 ქალი. მოცემული რაოდენობიდან 25,091 მოსახლე ცხოვრობს სოფლად, ხოლო 6 395 ქალაქად. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 1,803 ( მათ შორის 905 ბიჭი და 898 გოგო). საპენსიო ასაკის პირების საერთო რაოდენობა შეადგენს 2,257 ადამიანს. 2016 წლის მონაცემებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 148 დევნილი, ხოლო შშმ პირთა რაოდენობა (I ჯგუფი, II ჯგუფი, III ჯგუფი) შეადგენს 1,410 ადამიანს.

### **ხშირი საფრთხეები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:**

**1. ხანძარი** - განიხილება 2 სახის ხანძრის შესაძლებლობა - კონკრეტულ ოჯახში მომხდარი ხანძარი და ტყის მასივის ხანძარი. მუნიციპალიტეტის დასახლების სპეციფიკა გამორიცხავს ოჯახიდან ოჯახზე ხანძრის გავრცელებას. მიჩნეული იქნა, რომ ხანძრის საშიშროება ემუქრება მხოლოდ მთის და არა დაბლობის ტყეებს (მათი ჭარბტენიანობის გამო), ხოლო მთის ტყეებში ნაკლებადაა განთავსებული ფერმერული ან სხვა სახის მეურნეობები. ტყის ხანძრების შესაძლო მასშტაბი შესაძლებელია დიდი იყოს, რადგან ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია მთიან ზონაში ტექნიკის გამოყენება და ლიკვიდაცია დიდ დროს წაიღებს. შესაბამისად ალბათობა ხანძრის გავრცელებისა არსებობს. ტყის ხანძარს შეუძლია დააზიანოს მხოლოდ ტყის რესურსები და ველური ფაუნა.



წითლად აღნიშნულია რისკის ზონები - ძირითადად ზეგანის ტყეები და სუფსის ტერმინალისა და პორტის ზონა.

**2. მეწყერი** - ხშირი მოვლენაა მუნიციპალიტეტის მთის სოფლების პირობებში. მეწყერსაშიშ ზონებად მიიჩნეულია: გულიანის, ჩოჩხათის, ნინოშვილის, მამათის, აკეთის, აცანის, ნაწილობრივ ლესისა (ჭინათი) და ჯურუყვეთის (ბაღლეფი) თემები. მასობრივი დამეწყერის საშიშროება არ არსებობს, მხოლოდ რამოდენიმე ათეულ ოჯახს ემუქრება საფრთხე. მეწყერის მუდმივი ზონების ტერიტორია ძალიან მცირეა და აქ მხოლოდ შიდა გზების მონაკვეთები შეიძლება დაზიანდეს - ლანჩხუთი ნინოშვილი, ლანჩხუთი აცანა, ლანჩხუთი აკეთი, ჩოჩხათის თემის შიდა გზა.



*ყვითლად აღნიშნულია მეწყერსაშიში ზონები.*

**3. წყალდიდობა** - ძირითადად მდინარე სუფსის აუზზე ხდება გაზაფხულისა და ზაფხულის წყალდიდობების დროს. მდინარესთან ახლოს სახლები განლაგებული არ არის, ერთწლიანი კულტურები ყანები ხშირად ნადგურდება წყალდიდობის შედეგად. ამ მხრივ ასევე საშიში ზონაა სოფელი ჯაპანა, სადაც შესაძლებელია მდინარე რიონის მიერ კალაპოტის დატოვება. ამ შემთხვევაშიც საყანე ფართობები ნადგურდება.



ლორჯად აღნიშნულია წყალდიდობის ზონები

**4. საგზაო ავარიები** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი - ბათუმი და ბათუმი - ფოთი საავტომობილო გზა, სადაც ხშირია ავტოკატასტროფების შემთხვევები, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როცა ტურისტული სეზონის პიკია. ადგილზე მუშაობს საპატრულო პოლიცია და ასევე საავტომობილო გზაზე მდებარეობს გადაუდებელი დახმარების კლინიკა სოფელ შეკვეთილში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). ავტოავარიების ალბათობა ძალიან მაღალია.



ვარდისფრად აღნიშნულია საგზაო ავარიების მოსალოდნელი ზონები

**5. სამრეწველო ავარიები** - მოსალოდნელი საფრთხის ზონებად შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის ხაზის, ბაქო-სუფსა ნავთობსადენისა და ბუნებრივი აირის ტრასები. ასევე სუფსის ნავთობტერმინალი, სუფსის ნავთობის გადამწოდი პორტი და ლანჩხუთის ბუნებრივი აირის სისტემა. დაზიანების მასშტაბი მიუხედავად მცირე

რისკის ავარიის შემთხვევაში შეიძლება ძალიან დიდი იყოს. სარკინიგზო ავარია იმის გამო, რომ რკინიგზაზე გადააქვთ ნედლი ნავთობი გამოიწვევს საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო ფართობების დაზინძურებას ავარიის ადგილიდან დაახლოებით 0,5კმ-ზე. ნავთობსადენის შემთხვევაში ავტომატიზირებული სისტემა უზრუნველყოფს სადენის დაზიანების შემთხვევაში გადაკეტვას, თუმცა დაღვრა არ გამოირიცხება და გავრცელდება დაახლოებით 2000 კვ.მ. -ზე. ასეთ შემთხვევაში ლიკვიდაციას ახორციელებს ნავთობის კომპანია. ტერმინალის დაზიანება არ გამოიწვევს რაიმე კატასტროფას, რადგან მას აქვს დამცავი სისტემა, რომელიც ადგილზე მოახდენს ნავთობის შეკრებას. უფრო დიდი პრობლემაა ზღვის ფსკერზე არსებული გემების ჩასატვირთი მილი, რომლის დაზიანებამ შეიძლება ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს და დააზინძუროს შავი ზღვა. გაზსადენის დაზიანების შემთხვევაში (ქალაქი ლანჩხუთი) შესაძლებელია ლოკალური ხანძარი და მოწამვლა დაახლოებით 1000 კვ.მ ფართობზე.



ვარდისფრად აღნიშნულია რკინიგზის ზონა, ლურჯად - ბაქო-სუფსა ნავთობსადენი, სუფსის ტერმინალი და სუფსის პორტი, ხოლო ცისფრად ქალაქ ლანჩხუთის ბუნებრივი აირის გავრცელების ზონა.

### III თავი. საგანგებო სიტუაციების ერთიანი სისტემის მართვა, მისი შემადგენელი კომპონენტების ფუნქციები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ამოცანები

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ერთიანი სისტემა - ადგილობრივი თვითმმართველობის, მის მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში - საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ობიექტებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება.

2. საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციას ადგილობრივ დონეზე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე იურიდიული პირები, რომელთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზედაც მათივე ბრალეულობით წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია, მათ ხელთ არსებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების გამოყენებით. თუ აღნიშნული ძალებითა და საშუალებებით

შეუძლებელია საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, სალიკვიდაციო ღონისძიებებში მონაწილეობენ ერთიან სისტემაში შემავალი შესაბამისი ორგანოები.

3. პოლიცია, სახანძრო-სამაშველო ძალები, სამედიცინო დახმარების ბრიგადები ოპერატიულად მიდიან ინციდენტის ადგილზე, ამიტომ მათი მხრიდან საჭიროა დროული და მიზანმიმართული რეაგირება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში.

5. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით, მოითხოვს დახმარებას ეროვნულ დონეზე, როდესაც არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ადგილობრივი ძალები და საშუალებები.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მხარდაჭერის მიზნით ხელშეკრულება დადონ შესაბამის პირებთან, თუ მათი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები და საშუალებები არ არის საკმარისი.

7. წარმოქმნილ საგანგებო სიტუაციებზე სათანადო რეაგირებისათვის მოქმედებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი (საგანგებო შტაბი), უშუალოდ საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარედ იქმნება სავლე ოპერაციების ცენტრი.

8. საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემდეგ საგანგებო შტაბების შეკრებას უზრუნველყოფს და ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის გამგებელი. შტაბის დაკომპლექტება ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების ფუნქციების გათვალისწინებით. შტაბს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

9. სავლე ოპერაციების ცენტრი - არის უშუალოდ საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარედ მოქმედი სამუშაო ჯგუფი და მის შემადგენლობაში შედის:

ა) **კავშირის უზრუნველყოფის ჯგუფი**, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სავლე კომუნიკაციები, სავლე საშუალებები და დაამყაროს კავშირი შესაბამის უწყებებსა და სამაშველო-ოპერატიულ ჯგუფებთან, რომლებიც დაზიანების კერებში მუშაობენ;

ბ) **სამაშველო (სამედიცინო) ოპერაციების ჯგუფი**, რომლის ამოცანაა საძიებო-სამაშველო ოპერაციების, ტრიაჟის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებებისა (სავლე ჰოსპიტალის ჩათვლით) და ევაკუაციის ორგანიზება;

გ) **ინფორმაციისა და მასშედიის ჯგუფი**, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის შესახებ პირველადი ინფორმაციის გადამუშავებასა და მიწოდებას შესაბამისი უწყებებისა და მოსახლეობისათვის;

დ) **ლოჯისტიკის ჯგუფი**, რომელიც ახორციელებს საჭირო რესურსების (წყალი, სურსათი, საწვავი, ტექნიკური და სხვა სახის აუცილებელი საშუალებები) განსაზღვრას, მოთხოვნას, განაწილებას და აღრიცხვას დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **IV თავი. კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა საგანგებო სიტუაციების დროს**

1. საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებში არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ ნებაყოფლობით.

2. საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებში შესაძლოა მონაწილეობდნენ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.



4. ერთიანი სისტემის ღონისძიებების განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო ძალებისა და საშუალებების მოზიდვასა და საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

5. საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები სარგებლობენ შეუფერხებელი გატარების, საწვავ-საცხები მასალით უზრუნველყოფისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების უპირატესი უფლებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

6. საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები ფინანსდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სახსრებით, რომელთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზედაც მათივე ბრალეულობით წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, სადაზღვევო ფონდებისა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროების ხარჯზე.

#### **V თავი. საგანგებო სიტუაციების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა**

1. ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა ხორციელდება 11 ძირითადი ფუნქციის (დანართი N1) ამოქმედებით.

2. თითოეული ფუნქციის განხორციელების კოორდინირებას ახორციელებს შესაბამისი თვითმმართველობის ორგანო მხარდამჭერი უწყებებისა და ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქვემდებარე ორგანიზაციების მონაწილეობით.

საგანგებო დახმარების ფუნქციები

საგანგებო დახმარების ფუნქციები	საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები	პასუხისმგებელი უწყება
<p><b>ფუნქცია 1-</b> საგანგებო მართვის უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საგანგებო მართვის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო ვითარების ანალიზი და შეფასება;</li> <li>- საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების დაგეგმვა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახანძრო- სამაშველო სამსახური</li> <li>- გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური;</li> <li>- გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> <li>- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;</li> <li>- გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;</li> <li>- სს ენერგო-პრო ჯორჯია;</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- საპატრულო პოლიცია;</li> <li>- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური;</li> <li>- ლანჩხუთის სატყეო უბანი;</li> <li>- გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური.</li> </ul>
<p><b>ფუნქცია 2 –</b> კავშირგაბმულობის და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- ინფორმაციული</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> ადმინისტრაციული სამსახურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სს „სილქნეტი“;</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;</li> </ul>

	<p>ტექნოლოგიების რესურსების დაცვა, აღდგენა და უზრუნველყოფა.</p>	<p>- სს ენერგო-პრო ჯორჯია; - საქართველოს ფოსტას ლანჩხუთის სერვის ცენტრი</p>
<p><b>ფუნქცია 3</b> – მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;</li> <li>- საევაკუაციო მარშრუტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;</li> <li>- მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება;</li> <li>- ევაკუირებულთა სამედიცინო უზრუნველყოფა;</li> <li>- ენერგო უზრუნველყოფა;</li> <li>- ცხოველების ევაკუაცია.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> სახანძრო-სამაშველო სამსახური</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრი;</li> <li>- გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> <li>- სს ენერგო-პრო ჯორჯია;</li> <li>- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახური;</li> <li>- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახური;</li> <li>- განათლების რესურსცენტრი;</li> <li>- გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.</li> </ul>
<p><b>ფუნქცია 4</b> – საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საძიებო-სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- საჭიროების შემთხვევაში სამხარეო-სამაშველო ძალების ჩაბმა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> სახანძრო-სამაშველო სამსახური</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია;</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;</li> <li>- მ. ჩაჩავას სამედიცინო ცენტრი</li> <li>- გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> <li>- სს ენერგო-პრო ჯორჯია.</li> </ul>

<p><b>ფუნქცია 5 –</b> სატრანსპორტო უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სატრანსპორტო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საავტომობილო და სარკინიგზო საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახანძრო -სამაშველო სამსახური;</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია</li> <li>- გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური;</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- სს „ავტო“</li> </ul>
<p><b>ფუნქცია 6 –</b> სამედიცინო უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამედიცინო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია. საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების უზრუნველყოფა;</li> <li>- გარდაცვლილთა აღრიცხვა;</li> <li>- სამედიცინო ტრანსპორტის უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახანძრო-სამაშველო სამსახური</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია;</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიცია;</li> <li>- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახური;</li> <li>- მ.ჩაჩავას სამედიცინო ცენტრი;</li> <li>- ავერსის კლინიკა;</li> <li>- შპს ლანჩხუთი 03.</li> </ul>
<p><b>ფუნქცია 7 –</b> ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- სახანძრო ტექნიკის გადაადგილების უზრუნველყოფა;</li> <li>- ტრანსპორტით უზრუნველყოფა;</li> <li>- სამედიცინო უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> სახანძრო-სამაშველო სამსახური <b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> <li>- გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური;</li> <li>- გამგეობის სოციალურ საკითხთა,</li> </ul>

		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; - ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
<b>ფუნქცია 8</b> – ენერგომომარაგების უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების აღდგენითი ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- ენერგომომარაგების ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> სს„ენერგო-პრო ჯორჯია“</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახანძრო-სამაშველო სამსახური</li> <li>- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლანჩხუთის დაცვის პოლიცია;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური.</li> </ul>
<b>ფუნქცია 9</b> – მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>- მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახანძრო-სამაშველო სამსახური;</li> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია;</li> <li>- გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> <li>- გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.</li> </ul>
<b>ფუნქცია 10</b> – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;</li> <li>- ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;</li> <li>- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაცვის უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური</p> <p><b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია;</li> <li>- ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> <li>- სს „სილქნეტი“</li> </ul>
<b>ფუნქცია 11</b> – საინჟინრო	<ul style="list-style-type: none"> <li>- საგანგებო სიტუაციების საინჟინრო უზრუნველყოფის</li> </ul>	<p><b>ძირითადი ორგანო</b> გამგეობის ინფრასტრუქტურისა და</p>

<p>უზრუნველყოფა</p>	<p>ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საინჟინრო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</li> <li>- ინფრასტრუქტურის აღდგენა, კრიტიკული ინფრასტრუქტურების ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p>არქიტექტურის სამსახური; <b>დამხმარე ორგანო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სახანძრო-სამაშველო სამსახური;</li> <li>- გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;</li> </ul>
---------------------	---	--

**ფუნქცია N 1**  
**საგანგებო მართვის უზრუნველყოფა**

**ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების საგანგებო მართვას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი მხარდამჭერ უწყებებთან ერთად. შტაბის ძირითადი ამოცანებია: საგანგებო სიტუაციების მართვის, საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების საჭირო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

**ოპერატიული რეაგირება**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე ადგილობრივი რეაგირების შტაბი.**

საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე ადგილობრივი რეაგირების შტაბი იწყებს საგანგებო მართვის (ფუნქცია N1) ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, აცხადებს განგაშს და ატყობინებს შექმნილი მდგომარეობის თაობაზე შესაბამის უწყებებსა და პირებს.

საგანგებო დახმარების ფუნქცია N1-ის შესაბამისად გაიცემა ოპერატიული ბრძანებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი გამოყოფს ექსპერტებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბებისა და საველე ოპერაციების ცენტრის დასახმარებლად.

საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაჭრელად ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავენ პირველად მოთხოვნებს ეროვნულ დონეზე დახმარებისათვის.

**საგანგებო მართვის ძირითადი ღონისძიებები**

ოპერატიულ ცენტრში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბებსა და საველე ოპერაციების ცენტრში არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო, საძიებო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საგანგებო მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

- საველე ოპერაციების ცენტრის გაშლა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე ადგილობრივი რეაგირების შტაბის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

- საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

- საგანგებო სიტუაციების ზონებში რეაგირების გეგმის განხორციელება (საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და გადაუდებელი-აღდგენითი სამუშაოების განხორციელება);

- ოპერაციების კოორდინაცია;

- ლოჯისტიკა;

- ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;

- ინფორმაციის მართვა;

- მოთხოვნების დამუშავება რეგიონულ დონეზე დახმარების შესახებ;

- რესურსების მიღება და მართვა;

- მუშაკთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

- ფინანსური მართვა;

დაუყოვნებლივ იწყება საძიებო-სამაშველო, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის და სხვა გადაუდებელი სამუშაოების შესრულების ორგანიზება. ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები საგანგებო სიტუაციის ზონაში ხსნიან მოსახლეობის შეკრების, აღრიცხვის, ევაკუაციის, სამედიცინო დახმარების, კვებისა და პირველადი მოხმარების საგნების გაცემის პუნქტებს.

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების დაგეგმვა ხორციელდება დარგობრივი რეაგირების გეგმების საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე, რომელშიც უნდა იქნეს განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების ზონა და სახეობა, შედეგების რაოდენობრივი მონაცემები (მსხვერპლის, დაჭრილების, დანგრეული შენობების თაობაზე და სხვ.), მაღალი სეისმური რისკის მქონე ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული შენობების სახეობებისა და რაოდენობის გათვალისწინებით. განისაზღვრება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი, ხოლო შემდეგ - დაღუპულთა და დაჭრილთა სავარაუდო რაოდენობა.

აუცილებელია საგანგებო სიტუაციების როგორც უშუალო, ისე მეორადი შედეგების (ხანძარი, მოწამვლა, მეწყერი და სხვ.) დადგენა. შედეგების პროგნოზირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანგებო სიტუაციების ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

#### **მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა**

ამ ფუნქციაში მონაწილეობენ შემდეგი უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ უწყებათა დარგობრივი სფეროების გათვალისწინებით. აღნიშნული უწყებებია:

-გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური;

-გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური;

-გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;

-ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;

-გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

-სს ენერგო-პრო ჯორჯია;

-სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური;

-შსს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო;

-ლანჩხუთის სატყეო უბანი;

-გამგეობის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური.

**ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისას კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფენ - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და სს „სილქნეტი“, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები.

**კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ღონისძიებები**

საგანგებო სიტუაციების დროს, უპირველეს ყოვლისა, ზიანდება კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემების საკომუნიკაციო ელემენტები, რომლის აღდგენაც უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კავშირი საგანგებო სიტუაციის მართვის ორგანოებსა და საავარიო-სამაშველო ფორმირებებს შორის.

საგანგებო სიტუაციების დროს განისაზღვრება კავშირგაბმულობის კომუნიკაციების, კაბელების (ნგრევის ზონებში) და საჰაერო ხაზების (შენობის ნგრევის, მეწყერების, ჩამონახცევების შედეგად) დაზიანების სავარაუდო ადგილები. ფართომასშტაბიანი ნგრევის შემთხვევაში, დაზიანებული სატელეფონო კავშირის ხაზები ერთიანად გამოდიან მწყობრიდან. ხერგილების გაწმენდისა და სამაშველო სამუშაოების დროს ძალიან მაღალია საკაბელო ხაზის დაზიანების ალბათობა. ამიტომ საგანგებო სიტუაციის შემდეგ, აუცილებელია უწყებებსა და ობიექტებს შორის კავშირი უზრუნველყოფილ იქნეს უსადენო კავშირის საშუალებებით ან მიწისქვეშა საკაბელო ხაზებით. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებებია:

- საგანგებო სიტუაციებში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ძალების, საშუალებების მოზიდვა და ხელმძღვანელობა;
- მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციებისას მოსახლეობის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციების ზონებში საავარიო-სამაშველო, სამიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ძალების კავშირით უზრუნველყოფა;
- ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებზე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულების ორგანიზება.

გაცილებით დიდ სირთულეს წარმოადგენს, როცა საგანგებო სიტუაციის კერა მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებთან ახლოს, ამის შედეგად შეიძლება ხაზები ერთდროულად გამოვიდეს მწყობრიდან. ამ შემთხვევაში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ამოცანებია:

- კავშირის უზრუნველყოფა გარესამყაროსთან რადიოსადგურების დახმარებით;
- დასახლებული პუნქტების ახლოს დაზიანებული საკაბელო ხაზების აღდგენა;
- ქალაქის შიგნით სატელეფონო კავშირის დამყარება.

**პირველ რიგში სატელეფონო ქსელით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი ობიექტები:**

- ა) საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები;
- გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილები;
- დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფები;
- ე) სამედიცინო დაწესებულებები;
- ვ) სახანძრო-სამაშველო სამსახურები;
- ზ) პურის ქარხნები.

**მეორე რიგის ობიექტებად ითვლება:**



- ა) ქალაქის ელექტროქსელი;
- ბ) გაზიფიკაციისა და გაზომომარაგების საწარმოები;
- გ) ნავთობ-ბაზები;
- დ) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ობიექტები;
- ე) ქარხნები;
- ვ) სამშენებლო ორგანიზაციები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციის დროს დაზიანებული კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, კავშირგაბმულობისა და ფოსტის საწარმოებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა**

საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, საზოგადოებრივი და კერძო სამაუწყებლო საშუალებებით, აგრეთვე „ხმამაღლა მოლაპარაკე“ საშუალებით მოწყობილი ავტომანქანების გამოყენებით.

#### **მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა**

**სს „სილქნეტი“** - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის მართვის სფეროში კოორდინაციას უწევს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებაში.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო** - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს „ხმამაღლა მოლაპარაკე“ საშუალებით მოწყობილი ავტომანქანებით მოსახლეობის ინფორმირებას.

**ენერგო-პრო ჯორჯია** - უზრუნველყოფს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემის ენერგომომარაგებას.

**საქართველოს ფოსტის ლანჩხუთის სერვის ცენტრი** - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ელექტრონული კომუნიკაციების საფოსტო კავშირს.

### **ფუნქცია N 3**

#### **მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა**

#### **ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ახორციელებს სახანძრო-სამაშველო სამსახური

#### **მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ღონისძიებები**

საგანგებო სიტუაციების ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ღონისძიებების წინასწარ დაგეგმვა. ევაკუაციის ორგანიზებულად ჩასატარებლად იქმნება შემკრები და საშუალებო საევაკუაციო პუნქტები, ევაკუირებულთა მიმღები პუნქტები. მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ამოცანებია:

- დაზარალებული მოსახლეობის შეკრების, საევაკუაციო, სამედიცინო დახმარების, კვებისა და პირველადი მოხმარების საგნების გაცემის პუნქტების ამოქმედება;
- საგანგებო სიტუაციების ზონიდან და დასნებოვნების ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზება;
- ევაკუაციისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა, ევაკუაციის მარშრუტების შემუშავება;
- ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების ობიექტების განსაზღვრა, ევაკუირებული მოსახლეობის საწოლებით, კვების პროდუქტებით, პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის ორგანიზება;

- დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დროებითი განსახლების მიზნით სავსე ქალაქების მოწყობის ორგანიზება;

- დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ტანსაცმლით, სასმელი წყლით, სურსათითა და პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის ორგანიზება.

### **მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა**

**გამგეობის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური** – უზრუნველყოფს მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების მხარდაჭერას, საგანგებო სიტუაციების ზონაში დაზარალებული მოსახლეობისათვის კვებით უზრუნველყოფის მოძრავი და სტაციონარული პუნქტების გახსნას.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი**– უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს „ხმამალა მოლაპარაკე“ საშუალებით მოწყობილი ავტომანქანებით მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე ევაკუაციის მარშრუტებზე და განსახლების ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

**გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური** – ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების ადგილებში ხსნის სამედიცინო პუნქტებს და უზრუნველყოფს სამედიცინო პერსონალით.

**საგანმანათლებლო რესურსცენტრი**– შეიმუშავებს და განახორციელებს მოსწავლეთა (სტუდენტთა) საევაკუაციო ღონისძიებებს.

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები** – უზრუნველყოფენ მუნიციპალური, საქალაქო სატრანსპორტო სამსახურების საშუალებით საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციას ტრანსპორტით.

### **ფუნქცია N4**

**სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებების უზრუნველყოფა**

### **ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

**ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციების სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების მართვას ახორციელებენ საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სახანძრო-სამაშველო სამსახური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

### **ოპერატიული რეაგირება**

#### **სახანძრო სამაშველო სამსახური**

საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას ახდენენ სახანძრო-სამაშველო სამსახურები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (ოპერატიული სამაშველო მოქმედება, პირველადი სამედიცინო დახმარება, საგანგებო სიტუაციის ზონის შემოფარგვლა და იზოლირება, საგანგებო სიტუაციის ლოკალიზაციის სამუშაოები, ხანძრის ქრობის სამუშაოები და სხვ.).

სახანძრო სამაშველო სამსახური იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია N4) განხორციელებას.

#### **ადგილობრივი და სავსე დონე**

ადგილობრივი თვითმმართველობის საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად შტაბს მოქმედებაში მოჰყავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაბამისი გეგმა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადგილობრივ დონეზე საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი ფორმირებების ჩაბმას.

საგანგებო დახმარების ფუნქცია N4-ის შესაბამისად გაცემა ოპერატიული ბრძანებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი გამოყოფს ექსპერტებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბებისა და სავალე ოპერაციების ცენტრის დასაკომპლექტებლად.

**სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებები**

საგანგებო სიტუაციების განვითარების შემდეგ მოსახლეობის გადარჩენის, სასიცოცხლო უზრუნველყოფისა და არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, საჭიროა ძალებისა და საშუალებების ოპერატიული და მიზანმიმართული მობილიზაცია. საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისთანავე აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე წინასწარ შემუშავებული მოქმედებათა გეგმების განხორციელება.

საგანგებო სიტუაციების სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- საგანგებო სიტუაციების დროს სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ძალებისა და საშუალებების გადანაწილება;

- დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის, სამაშველო სამუშაოებისათვის აუცილებელი საინჟინრო, სამხედრო და სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა და სამაშველო სამუშაოებში ჩაბმა;

- დაზარალებულთათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამუშაოების ორგანიზება სპეციალური ტექნიკის, სამედიცინო პერსონალის, მედიკამენტების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, მძიმე ავადმყოფების სხვა ქალაქებში ევაკუაციის შესაძლებლობის განსაზღვრა;

- სამაშველო-სადიებო, საავარიო-სამაშველო, საავარიო-აღდგენითი, ხანძრის ქრობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

- საგანგებო სიტუაციების მეორადი დამაზიანებელი ფაქტორების თავიდან აცილების ან/და ლოკალიზაციის მიზნით შესაბამისი ზომების მიღება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ასევე იურიდიული პირები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების დროს სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ფორმირებებს დაუყონებლივ აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.

სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ოპერატიული ცენტრი.

### **მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი-საგანგებო სიტუაციების ზონებში ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და კრძალავს ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა; შემოფარგლავს და დაიცავს პერიმეტრს; მარადიურობის წინააღმდეგ აწარმოებს ბრძოლას.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური - სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყოფს დაზარალებულთათვის პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანას, აგრეთვე მედიკამენტების მიწოდებას.

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები** - ახორციელებენ სადიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენით სამუშაოებს.

## ლონისძიებების შესრულების გადანაწილება

**ადგილობრივ დონეზე** სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

### სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებები

საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ზიანდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო ქსელები, რომლის აღდგენა უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო სიტუაციის ზონაში საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი ფორმირებების სატრანსპორტო გადაადგილება.

სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- საევაკუაციო ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციების ზონიდან უსაფრთხო განთავსების ზონებში მოსახლეობის ევაკუაციისთვის საავტომობილო საშუალებების მობილიზება;
- საგანგებო სიტუაციების ზონიდან უსაფრთხო ზონაში შესაბამისი ტრანსპორტით მატერიალური ფასეულობის გატანა;
- საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ეფექტიანად შესრულებისათვის საინჟინრო ავტოტრანსპორტისა და ტექნიკის მობილიზების ხელშეწყობა;
- შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზება ცხოველთა ევაკუაციისათვის;
- დაზარალებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზება.

## მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური- კოორდინაციას უწევს სატრანსპორტო უზრუნველყოფის სისტემას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას და ევაკუაციის მარშრუტებზე უსაფრთხო გადაადგილებას.

ფუნქცია N 6  
სამედიცინო უზრუნველყოფა

## ლონისძიებების შესრულების გადანაწილება

**ადგილობრივ დონეზე** სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებებს ახორციელებს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და მოთხოვნების განსაზღვრა სამედიცინო უზრუნველყოფის სფეროში

- ავადმყოფთა ევაკუაცია
- მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- სამედიცინო კონსულტაცია, ტექნიკური დახმარება და თანადგომა
- ჯანმრთელობის დაცვა

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ინფორმირება
- დაავადებათა კონტროლი

### **მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და შედეგების ლიკვიდაციის მიზნით კოორდინაციას უწევს სამედიცინო დაწესებულებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს ავადმყოფების ტრანსპორტირების მარშრუტებსა და სასწრაფო დახმარების მანქანების დაუბრკოლებლად გადაადგილებას, კარანტინის ტერიტორიის იზოლაციას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

### **ფუნქცია N7**

### **ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა**

### **ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

ადგილობრივ დონეზე ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სახანძრო-სამაშველო სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

**სახანძრო-სამაშველო ძალების ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებები**

ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებებია:

- ხანძარსაწინააღმდეგო ძალებისა და საშუალებების მოზიდვა და ხელმძღვანელობა;
- მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისათვის ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის დროული შეტყობინება მოსალოდნელი საშიშროების შესახებ;
- სახანძრო-სამაშველო და საძიებო-სამაშველო სამუშაოების შესრულება;
- ხანძრის ქრობის ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- სახანძრო ვითარების შეფასება, ხანძრის წარმოშობის თვალსაზრისით ყველაზე საშიში ობიექტების მდგომარეობის შეფასება;
- ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ყველა მოსამსახურის სადღეღამისო რეჟიმზე გადაყვანა, სარეზერვო ტექნიკის მზადყოფნაში მოყვანა და დაკომპლექტება;
- საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული მითითებების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შემოსული შეტყობინების თანახმად სახანძრო-სამაშველო ბრიგადების მეშვეობით ხანძრის ქრობის ღონისძიებების ორგანიზება;

**ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებები:**

**სახანძრო-სამაშველო რაზმები** - ახორციელებენ სახანძრო-სამაშველო სამუშაოებს.

საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოებიდან ან/და სხვა უწყებებიდან მიღებული ცნობების მიხედვით ზუსტდება წარმოქმნილი ხანძრის ადგილები, ხანძრის კერებთან მისასვლელი გზების მდგომარეობა;

ხანძრის კერებში ხანძრის ქრობის ღონისძიებების განხორციელება.

- სახანძრო-სამაშველო სამუშაოების შესრულება მიმართულია მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის, ქონების გადარჩენისა და დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად;

ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებებში გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- გზების ცუდი გამტარუნარიანობა და მათი შესაძლო ჩახერგვა;
- წყალსაკრები ჰიდრანტების შესაძლო გაუმართაობა;
- აუცილებლობის შემთხვევაში წყლის ასაღებად ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევის გამოყენება.

**ფუნქცია N 8**  
**ენერგომომარაგების უზრუნველყოფა**

**ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

**ადგილობრივ დონეზე** ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

საგანგებო შტაბმა დამხმარე უწყებებიდან შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი ექსპერტების მივლინებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბებსა და სავლე ოპერაციების ცენტრში.

**ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების დროს დაზიანებული ენერგომომარაგების ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, ენერგომომარაგების საწარმოებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების განხორციელება ენერგომომარაგების სფეროში ეკისრება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კერძოდ:

1. თვითმმართველი ერთეულის სასიცოცხლო უზრუნველყოფის მიზნით დროებითი ელექტროხაზების დამონტაჟება;
2. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ელექტროენერგიით ოპერატიული უზრუნველყოფა;
3. საგანგებო სიტუაციების შედეგად კაბელების დაზიანების სავარაუდო ადგილების განსაზღვრა (ნგრევის ზონებში);
4. მუნიციპალიტეტის შიგნით დაზიანებული კაბელების აღდგენა;
5. საგანგებო სიტუაციების კერის ზონებში მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების დაზიანების სავარაუდო მიმართულების განსაზღვრა;
6. მუნიციპალიტეტის მომმარაგებელი მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების აღდგენა;
7. დაზიანებული ქვესადგურების, გამანაწილებელი პუნქტებისა აღდგენა;
8. სასიცოცხლო უზრუნველყოფის ობიექტებისა და მუნიციპალური სამსახურების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნულ ობიექტებამდე დროებითი საჰაერო ხაზების გაყვანა;
9. საგანგებო სიტუაციებში ენერგომომარაგების ღონისძიებების ძალებისა და საშუალებების მოზიდვა და ხელმძღვანელობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების დროს დაზიანებული ენერგომომარაგების ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, ენერგომომარაგების საწარმოებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ენერგომომარაგების ქსელების ავარიული მდგომარეობის სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსებისა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

### ლონისძიებების შესრულების გადანაწილება

**ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

**საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ღონისძიებები**

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ამოცანებია:

- საგანგებო სიტუაციების დროს ცხოველების საკვების საჭირო რესურსების გაანგარიშება და მარაგის შექმნის უზრუნველყოფა;

- მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

- საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების ზონებიდან პირუტყვის ევაკუაციის ორგანიზება;

- ეპიზოოტიური და ეპიფიტოტიური (ან მავნებლების აფეთქარების) მდგომარეობის კონტროლის უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი წარმოშობის ასაცილებლად ზომების მიღება;

- ეპიზოოტიისა და ეპიფიტოტიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება;

- ფრინველის გრიპის შემთხვევაში შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება.

### ლონისძიებების შესრულების გადანაწილება

**ადგილობრივ დონეზე** მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას ხელმძღვანელობს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

### მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

საგანგებო სიტუაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა;

- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო რესურსების განსაზღვრა;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში პირველადი მოხმარების ნივთებისა და სასიცოცხლო უზრუნველყოფის საშუალებების (კარგები, თბილი ტანსაცმლის კომპლექტი, საბნები, ინდივიდუალური აფთიაქები და სხვ.) უზრუნველყოფის ორგანიზება;
- დაზიანების ზონებში სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოებისა და მომუშავე ტექნიკის საწვავ-საპოხი მასალების მარაგების შექმნის ორგანიზება;
- დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პუნქტებზე და მათი დროებით განსახლების ადგილებში კვებით, სურსათითა და პირველადი მოხმარების სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის მარაგების შექმნის ორგანიზება;
- ევაკუირებული მოსახლეობისათვის კვების, სურსათისა და ნივთების მომარაგების მოძრავი პუნქტების შექმნის ორგანიზება;
- დაზარალებული მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის ორგანიზება;
- დაზიანების კერაში არსებული სპეციალური რეზერვების საწყობების მდგომარეობის შეფასება;
- დაზიანების კერაში არსებული ნავთობგადამამუშავებელი ბაზებისა და ბენზინგასამართი სადგურების მდგომარეობის შეფასება და გამოყენება;

**ფუნქცია N11**  
**საინჟინრო უზრუნველყოფა**

**ღონისძიებების შესრულების გადანაწილება**

**ადგილობრივ დონეზე** საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებების მართვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

**ოპერაციების კონცეფცია**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უფლებამოსილი ექსპერტების მივლინებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბში.

**საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებები**

საგანგებო სიტუაციების დროს საინჟინრო უზრუნველყოფის გასატარებელი ღონისძიებებია:

- დაზიანების კერებში საინჟინრო ვითარების შეფასება, შენობებისა და ნაგებობების ყველაზე უფრო დიდი ნგრევების სავარაუდო რაიონების განსაზღვრა;
- შენობებისა და ნაგებობების ტიპების, მათი სართულების, ავარიულობის ხარისხის, იქ დასაქმებული ან მცხოვრები ადამიანების რაოდენობის განსაზღვრა;
- იმის განისაზღვრა, თუ საგანგებო სიტუაციის შედეგად რომელი შენობა-ნაგებობები გამოვა მწყობრიდან, რომელი შენობებისა და ნაგებობების ექსპლუატაციაა შესაძლებელი რისკის გარეშე;
- მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენები, კანალიზაცია, გაზომომარაგება, ელექტრო და სატელეფონო კავშირის საკაბელო ხაზები) დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის უბნების განსაზღვრა;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო მნიშვნელობის საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მდგომარეობის განსაზღვრა;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში არსებული დამცავი ნაგებობების შეფასება (კლასიფიკაცია, რამდენ კაცზეა გათვლილი და მათი მდგომარეობა);
- საინჟინრო, საავარიო-აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება ნგრევის ზონაში;



- საკანალიზაციო წყლების მიწის ზედაპირზე გამოსვლისა და თავმოყრის ადგილებში შესაბამისი სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულება;
- ქუჩების შესაძლო ჩამონაქვევების ადგილების განსაზღვრა, რომლებიც აფერხებს სატრანსპორტო მოძრაობას;
- საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მოსახლეობის თავშესაფრებად გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხშირი საფრთხეები და რისკის ზონები განისაზღვროს მე-2 თავის შესაბამისად;

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირების/განგაშის სისტემა არსებული საფრთხეების შესახებ განისაზღვროს (დანართი N2)–ის შესაბამისად;

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კრიზისული სიტუაციების მართვის შტაბის შემადგენლობა განისაზღვროს(დანართი N3)–ის შესაბამისად;

ლანჩუთის მუნიციპალიტეტში წყალდიდობის დროს ევაკუაციის გეგმა განისაზღვროს (დანართი N4)–ის შესაბამისად;

ლანჩუთის მუნიციპალიტეტში კრიტიკული ინფასტრუქტურა განისაზღვროს (დანართი N5)–ის შესაბამისად;

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კერძო კომპანიები, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებთანაც მუნიციპალიტეტს აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (დანართი N6).

## დანართი N2

### მოსახლეობის ინფორმირების/ განგაშის სისტემა არსებული საფრთხეების შესახებ

საგანგებო სიტუაციების დადგომისას საჭიროა განგაშის სისტემის ამოქმედება. სისტემაზე პასუხისმგებლობას შტაბის ხელმძღვანელის (გამგებლის) დავალებით იღებს გამგეობის საინფორმაციო სამსახური. განგაში ცხადდება შემდეგი ინსტრუმენტარიების გამოყენებით:

- ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებისა და თანამშრომლების ჩამოვლა;

- შსს უზნის რწმუნებულების მიერ მეგაფონის გამოყენება;
- ადგილობრივი ატს - ის გამოყენება;
- განცხადებების გამოკვრა უზნებში;
- სირენები ქალაქში და თემებში;
- საეკლესიო ზარები სადაც ეს შესაძლებელია;
- ადგილობრივი მასმედიისა და მუნიციპალური ინტერნეტ გვერდის გამოყენება.

### მოსახლეობას უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- რა სახის კატასტროფაა მოსალოდნელი ან დადგა?
- რა აუცილებელი ნივთები უნდა იქონიონ თან გასვლისას და რა რაოდენობით?
- სად უნდა შეიკრიბოს მოსახლეობა საევაკუაციოდ?
- სად იქნება მათი დროებითი თავშესაფრის ადგილი?
- დაახლოებით რა დროში იქნება შესაძლებელი სტიქიის ლიკვიდაცია?

საგანგაშო სიგნალების (სირენა) განთავსების ადგილები:

ქალაქი ლანჩუთი

- ადმინისტრაციული შენობა
- „აჯანყებული გურულის“ ძეგლის ტერიტორია
- რკინიგზის სადგური
- სკოლის შენობები

- თეატრი

თემები:

- ადმინისტრაციული ერთეულების შენობები
- სკოლები
- სოფლების ცენტრები

სირენების განთავსების რუკა:



დანართი N3

### კრიზისული სიტუაციების მართვის შტაბი

შტაბის შემადგენლობა:

1. გამგებელი - შტაბის უფროსი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე)
2. სახანძრო – სამაშველო სამსახურის უფროსი - წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს უფროსი ოფიცერი)
3. პოლიციის სამმართველოს უფროსი - წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მოადგილე)
4. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის უფროსი- წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მოადგილე)
5. გამგეობის ინფარსტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მთავარი სპეციალისტი)
6. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მთავარი სპეციალისტი)
7. ენერგოკომპანიის (კერძო სააქციო საზოგადოება) წარმომადგენელი - წევრი

8. ბუნებრივი აირის მომწოდებელი კომპანიის (კერძო სააქციო საზოგადოება) წარმომადგენელი - წევრი

9. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი- წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მთავარი სპეციალისტი)

10. კონსულტანტები, ექსპერტები (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ან წარმოშობით ლანჩხუთელი სპეციალისტები, რომელებიც პროფესიონალები არიან კონკრეტულ საკითხებში)

11. ვეტერინარიისა და სანიტარულ- ეპიდემიოლოგიური სამსახურის უფროსი- წევრი (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მთავარი სპეციალისტი)

## სამსახურების ფუნქციები

- სახანძრო- სამაშველო სამსახური

უპირველეს ყოვლისა გადიან შემთხვევის ადგილზე, ინფორმაციას აწვდიან შტაბის უფროსს, უზრუნველყოფენ მოსახლეობის ევაკუაციას უსაფრთხო ადგილამდე და იღებს ზომებს საფრთხის თავიდან აცილების თვალსაზრისით, საგანგებო სიტუაციის მოგვარებისა და ამა თუ იმ სტიქიის ლიკვიდაციისთვის.

- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველო (პოლიცია)

ეხმარება სახანძრო - სამაშველო სამსახურს მოსახლეობის ევაკუაციაში, ინფორმაციის გავრცელებასა და პანიკის თავიდან ასაცილებლად. იცავს მოსახლეობის ქონებას, რომელიც მიტოვებული იქნა სტიქიის შედეგად, აღკვეთს მარადიურობის, დატაცების ფაქტებს.

- სასწრაფო - სამედიცინო სამსახური (033)

სტიქიის ზონიდან გამოჰყავს დაზარალებულები, უჩენს სათანადო დახარებას და გადაჰყავს სამკურნალო დაწესებულებებში. მობილიზაციას უწევს სამსახურის ტექნიკას, საჭიროების შემთხვევაში იძახებს რაზმებს ახლომდებარე რაიონებიდან და სხვა აუცილებელ ტექნიკას ცენტრიდან.

- პრესასათან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

უზრუნველყოფს მოსახლეობის დროულ ინფორმირებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. უზრუნველყოფს სტიქიის ზონიდან სწორი ინფორმაციის მიწოდებას რათა თავიდან იქნას აცილებული მოსახლეობის პანიკა. ასევე უზრუნველყოფს კავშირის საშუალებების სწორ და გამართულ მუშაობას.

- ვეტერინარიისა და ეპიდემიოლოგიური სამსახური

სტიქიის ზონაში უზრუნველყოფს გამწმენდ და სადეზინფექციო სამუშაოებს.

- მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური


წარმართავს რეზერვისტთა დროულ მობილიზაციას და შტაბის უფროსის განკარგულებით ერთვება სტიქიის ზონაში მიმდინარე შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში.

- ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური


მობილიზაციას უკეთებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ იმ ტექნიკურს საშუალებებს და ტრანსპორტს, რაც აუცილებელია მოსახლეობისა და მისი ქონების სტიქიის ზონიდან გასაყვანად, უსაფრთხო ადგილზე დასაბინავებლად. ასევე უზრუნველყოფს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციამდე გადაადგილებული მოსახლეობის საკვებით, საწოლებითა და სხვა აუცილებელი ნივთებით მომარაგებას. მობილიზაციას უკეთებს საგზაო ტექნიკას და უზრუნველყოფს გზებსა და ხიდებზე უსაფრთხო და შეუფერხებელ მოძრაობას.

# ინფორმაციის გაცვლა

ინფორმაციის გადაცემა მოსახლეობის მხრიდან:



ინფორმაციის გადაცემა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან:



## ევაკუაციის გეგმა

ყველაზე მასშტაბური საგანგებო სიტუაცია, რაც შეიძლება მუნიციპალიტეტში მოხდეს და შეეხოს მოსახლეობის დიდ მასას არის წყალდიდობა, რადგან ხანძრის, მეწყრის, საგზაო და სამრეწველო ავარიების შემთხვევაში მოსახლეობის მცირე ნაწილს ემუქრება საშიშროება. შესაბამისად ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ადგილობრივი ევაკუაცია და თემის დახმარებით პროცესის წარმართვა, რაც პრაქტიკულად ხშირად ხდება ხოლმე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი წყალუხვი მდინარე, რიონი და სუფსა მიედინება. ამათგან რიონი მცირე მონაკვეთზე, სულ რაღაც 920 მეტრზე შემოდის მუნიციპალიტეტის საზღვარში, ხოლო სუფსა, 18 მდე გზას გაივლის, სანამ ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ შეუერთდება შავ ზღვას სოფლებს გრიგოლეთსა და წყალწმინდას შორის. წყალდიდობის მთავარი მიზეზი ადრე იყო, რომ მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს კოლხეთის დაბლობს და მდინარის კალაპოტიდან სულ რაღაც 1-3 მეტრ სიმაღლეზეა განლაგებული. უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმატებით განხორციელების შემდეგ მსგავსი მასშტაბის წყალდიდობა არ მომხდარა.

### მდინარე სუფსასთან დაკავშირებით.

სუფსა წყალუხვი მდინარეა. იგი მთებიდან მოედინება. განსაკუთრებით საშიშია წყალდიდობების თვალსაზრისით გაზაფხული-ზაფხული წყალდიდობების დროს. ყველაზე კატასტროფული მდგომარეობა ამ თვალსაზრისით არის სამ თემში -ღრმაღელის, ჩოჩხათისა და სუფსის თემებში. წყალდიდობის დროს განსაკუთრებით ზიანდება სოფლები მოედანი, ხორეთი, შრომისუბანი, ჩქუნი, ღრმაღლე, ხიდმაღალა. მდინარე სუფსამ შეიცვალა კალაპოტი და 9 კმ ფართობი მის მარცხენა ნაპირზე დარჩა. რაც შეეხება ჩოჩხათის თემს, მდინარე უშუალოდ ეზო კარმიდამოებს არ ემუქრება.

- მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ ინფორმაციას გუბერნატორის ადმინისტრაციიდან ღებულობს მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის ხელმძღვანელი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სატელეფონო კორპორაციული ნომრების გამოყენებით ინფორმაციას მიაწვდის თემების მაჟორიტარ დეპუტატებსა და რწმუნებულებს.
- შეიკრიბება საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი
- შტაბი მობილიზაციას გაუკეთებს:
  - ✓ სახანძრო სამსახურს (შესაძლო დატბორვის შედეგების სალიკვიდაციოდ),
  - ✓ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას,
  - ✓ ელექტრო კომპანიას (ელექტრო ენერჯის გადამცემი ხაზების დაზიანების შემთხვევაში პრობლემის აღმოსაფხვრელად)
  - ✓ საგანგებო სიტუაციების რეგიონალურ სამსახურს (წყალდიდობის დროს მოსახლეობის განსაკუთრებით საშიში ზონიდან გასაყვანად)
  - ✓ მუნიციპალურ ავტობუსებს (მოსახლეობის დროებით თავშესაფარში გადასაყვანად)
  - ✓ მოამზადებენ თავშესაფრებს მოსახლეობის დროებით განსათავსებლად.
- გამგებლის წარმომადგენლები და დეპუტატები თავიანთ თემებში ჩამოივლიან მოსახლეობას და შესაძლო წყალდიდობის შესახებ გაავრცელებენ ინფორმაციას
- ინფორმაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს:
  - ✓ თავშეყრის ადგილი და დრო, სადაც და როდისაც უნდა მოხდეს ევაკუაცია
  - ✓ ის მინიმალური ოდენობა საჭირო ნივთებისა, რაც თან უნდა იქონიოს მოსახლეობამ
  - ✓ პირუტყვის გადაყვანის უსაფრთხო ადგილი (თუ ეს შესაძლებელია)

- ✓ პირუტყვის საევაკუაციო წერტილი და დრო (თუ ეს საჭიროა)
- ✓ ინფორმაცია თავშესაფრის შესახებ
- ✓ დაახლოებითი დრო თავშესაფარში ყოფნისა

- თვითევაკუაცია

შეუძლია განახორციელოს ძალიან ზოგადი გათვლით მოსახლეობის 30%-მა.

- მოსახლეობის ევაკუაცია:

- ✓ განისაზღვრება თავშეყრის ადგილები. ესენია: სუფსის საბავშვო ბაღის შენობა, ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობა, ლანჩხუთის მე-3 სკოლა.
- ✓ წინასწარ განსაზღვრულ თავშეყრის ადგილებში მოხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მობილიზება ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მოსახლეობის გადასაყვანად თავშესაფრებში
- ✓ მოხდება სატვირთო ტრანსპორტის მობილიზება პირუტყვის გადასაყვანად უსაფრთხო ადგილას
- ✓ თავშესაფრები მომარაგდება საჭირო კვების პროდუქტებითა და წყლით გამგეობის მიერ, უშუალოდ შტაბის ხელმძღვანელობით.
- ✓ პოლიცია იცავს წესრიგს.
- ✓ სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს ლანჩხუთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მორიგე ბრიგადა.



- წყალდიდობის დადგომის დროს:

- ✓ სახანძრო- სამაშველო სამსახური იღებს ინფორმაციას მოსახლეობიდან ხომ არ დარჩა ვინმე ზონაში და იღებს ზომებს ასეთი პირების გამოსაყვანად.
- ✓ სასწრაფო დახმარება მორიგეობს ზონის თავშეყრის ადგილზე და თავშესაფარში, საჭიროების შემთხვევაში თავისი ფუნქციის შესასრულებლად
- ✓ პოლიცია ზონის სიახოვეს იცავს წესრიგს

- წყალდიდობის სალიკვიდაციო სამუშაოები:

- ✓ სახანძრო სამსახური ახდენს დატბორილი სახლების გაწმენდას წყლისგან

- ✓ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახური ახდენს სახლებამდე და საკარმიდამო ფართობებამდე მიმავალი გზების, ხიდებისა და გვერდითი ნაგებობების პირველად აღდგენას
- ✓ ენერგო სამსახური სწავლობს ელექტრო გადამცემი ხაზების დაზიანებების ხარისხს და აწარმოებს აღდგენით სამუშაოებს
- ✓ პოლიცია მორიგეობს ადგილზე, იცავს წესრიგს და აღკვეთს მოროდურობის შემთხვევებს
- წყალდიდობის ლიკვიდაციის შემდეგ
- ✓ წყალდიდობის შედეგების პირველადი ლიკვიდაციის შესახებ შტაბი ღებულობს ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების, სახანძრო და ინფრასტრუქტურის სამსახურიდან, ენერგო კომპანიიდან
- ✓ ინფორმაციას თავშესაფარში მყოფ მოსახლეობას აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
- ✓ ინფორმაცია ვრცელდება ადგილობრივი მედია საშუალებებით პირველ რიგში იმ პირებისთვის, ვინც ნათესავებთან გადავიდა წყალდიდობის ზონიდან
- ✓ ინფორმაცია შეიცავს ლიკვიდაციის ზოგად აღწერას, დროს და საათს, როცა მოხდება მოსახლეობის უკან დაბრუნება
- ✓ საზოგადოებრივი ავტობუსებით მოხდება მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნება
- ✓ შესაბამისად, მოხდება პირუტყვის უკან დაბრუნებაც

დანართი N5

### კრიტიკული ინფრასტრუქტურა.


- ✓ საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები
  - საერთაშორისო მნიშვნელობის გზის სიგრძე: 65 კმ
  - შიდა სახელმწიფოებრივი გზების სიგრძე : ჯაპანა - აბაშა - 47 კმ, ლანჩხუთი-ნასაკირალი - 45 კმ და ლანჩხუთი - ჯუმათი-ოზურგეთი - 28 კმ.
- ✓ სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე: 40 კმ
- ✓ საავტომობილო და სარკინიგზო ხიდები და მილხიდები
  - სარკინიგზო ხიდები: ხიდი მდინარე სუფსაზე სიგრძით 43 მეტრი.
  - სარკინიგზო მილხიდების რაოდენობა სულ 24
  - სარკინიგზო - სამანქანო გადასასვლელი სულ 14, ამათგან საერთაშორისო გზის 2.
- ✓ ელექტრო გადამცემი ხაზები, სადგურები და ქვესადგურები
  - სულ 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე :
  - სულ 110/10 კვ ელექტრო ქვესადგურების რაოდენობა: 5
- ✓ სატელეფონო და მობილური კავშირების ანძები, ბოჭკოვანი კაბელი
  - სულ მობილური კავშირის ანძები: 9
  - ბოჭკოვანი კაბელის სიგრძე: 43 კმ
- ✓ ადმინისტრაციული და კერძო შენობა-ნაგებობები
  - სკოლების რაოდენობა : 41
  - ადმინისტრაციული შენობები ქალაქ ლანჩხუთში : 8
  - ადმინისტრაციული შენობები ტერიტორიულ ერთეულებში: 27
  - სახლები სულ : დაახლოებით 134000
  - საბავშვო ბაღები: 22 (2 ლანჩხუთი, 2 სუფსა, 2 ჯურუყვეთი, 16 დანარჩენ ერთეულებში
  - ფერმები დაახლოებით 250
- ✓ ქალაქ ლანჩხუთის წყლის სათავე ნაგებობა
  - ნაგებობის ფართი 1,2 ჰა
  - მაგისტრალური მილის სიგრძე - 5,9 კმ



✓ სუფის ნავთობტერმინალისა და პორტის ინფრასტრუქტურა.

- ნავთობსადენის სიგრძე : 47 კმ.
- წყალქვეშა ნავთობსადენის სიგრძე :6,7 კმ
- სუფის პორტის ფართი: 210 ჰა
- ნავთობტერმინალი: 4 რეზერვუარი, თითო 40 000 ტონა ნავთობის ტევადობით.

საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, სარკინიგზო მაგისტრალის, საავტომობილო და სარკინიგზო ხიდების და მილხიდების რუკა:



აღნიშვნები რუკაზე : ყვითელი - სხვადასხვა კატეგორიის საავტომობილო გზები, იისფერი - რკინიგზა, შავი - ხიდები, მილხიდები.

მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების, სადგურების და ქვესადგურების, სატელეფონო და მობილური კავშირების ანძების, ბოჭკოვანი კაბელის განლაგების რუკა:



არნიშვნები რუკაზე: თეთრი - ბოჭკოვანი კაბელი, წითელი - მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, S - ელექტრო ქვესადგურები, M - მობილური ტელეფონიის ანძები, P - კავშირგაბმულობის ანძა

ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობების რუკა:



აღნიშვნები რუკაზე: წითელი მართკუთხედი - შენობა-ნაგებობა

ქალაქ ლანჩხუთის წყლის სათავე ნაგებობის, სუფის ნავთობტერმინალისა და პორტის ინფრასტრუქტურის რუკა



აღნიშვნები რუკაზე: წითელი - სუფის ნავთობტერმინალისა და პორტის ინფრასტრუქტურა, ლურჯი - ქალაქ ლანჩხუთის წყლის სათავე ნაგებობა

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კერძო კომპანიები რომელთა გამოიყენება შესაძლებელია საგანგებო სიტუაციების დროს

N	კომპანიის დასახელება	კომპანიის ტიპი	რესურსები
1.	კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი“ - სუფსის ტერმინალი	კერძო	გააჩნია ნავთობის ჩაღვრის სალიკვიდაციო ყველა ტექნიკური და ადამიანური რესურსი
2.	დასავლეთ საქართველოს ენერჯო კომპანიის ლანჩხუთის ფილიალი	კერძო	ელექტრო სისტემის ლოკალური ლიკვიდაციის ტექნიკა. გლობალური ავარიის დროს იმახებს სენაკის სამმართველოს ჯგუფს.
3.	წყალკანალი	მუნიციპალური	შეუძლია განახორციელოს წყლის სისტემის ავარიის ლიკვიდაცია ქალაქ ლანჩხუთში
4.	სოკარ გაზის ლანჩხუთის ფილიალი	კერძო	შეუძლია მოახდინოს გაზის გადინების ლიკვიდაცია, ან დიდი მასშტაბის დროს იმახებს სათავო ბრიგადებს.
5.	შპს „ჰო და არა“	კერძო	აქვს გაზეთი, გამოდის კვირაში სამჯერ 3500 ტირაჟით. შეიძლება გამოყენებული იქნას ინფორმაციის გასავრცელებლად. აქვს 2 სტამბა. შეიძლება ბუკლეტების ბეჭდვა.
6.	შპს „ლანჩხუთი პლუს“	კერძო	აქვს გაზეთი, გამოდის კვირაში ორჯერ 2000 ტირაჟით. შეიძლება გამოყენებული იქნას ინფორმაციის გასავრცელებლად.
7.	კორპორაცია „სუფსის პორტი“	კერძო	ახლად დაწყებული სუფსის პორტის მფლობელი ორგანიზაცია. 2012 წელს ექნება საგანგებო სიტუაციების აღმოსაფხვრელი ტექნიკა.
8.	გადაუდებელი შემთხვევების კლინიკა	კერძო	ახლადგახსნილი კლინიკა სოფ. შეკვეთილში საგზაო ავარიების დროს დაზარალებულთა სამკურნალოდ
9.	შპს „ავერსის“ კლინიკა“	კერძო	შესაძლებელია გამოყენებული იქნას საგზაო ავარიების დროს დაზარალებულთა სამკურნალოდ
10.	შპს „ავტო“	კერძო	ავტობუსების პარკი. შეიძლება გამოყენებული იქნას დაზარალებულთა სანაცვაციოდ